



აღმოსავლეთის პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა



საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 14 ნოემბერი, 2014 წელი

დრო: 13:00 – 15:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ლაშა ტულუში - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ლიბერალური აკადემია თბილისი
2. ივანე ჩხიკვაძე - აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული კოორდინატორი, ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
3. ნათია კუპრაშვილი - პირველი ჯგუფის თანაკოორდინატორი, საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია
4. ირინა ფუტკარაძე - პირველი ჯგუფის თანაკოორდინატორი, საზოგადოებრივი დამცველი
5. ოლეგ შატერაშვილი - მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორი, ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის
6. ალექსანდრა კალატოზიშვილი - მეოთხე ჯგუფის თანაკოორდინატორი, სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი
7. ლევან ბოჭორიშვილი - მეოთხე ჯგუფის თანაკოორდინატორი, საერთო სამოქალაქო მოძრაობა "მრავალეროვანი საქართველო"

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ და დამსწრეებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი.

საბჭოს წევრებმა პირველ საკითხად განიხილეს პლატფორმაში გაწევრიანების მსურველი ორგანიზაციების განაცხადები. მსჯელობის შედეგად დადებითად გადაწყდა 8 ორგანიზაციის წევრობის საკითხი:

1. „აგროსერვისი“
2. ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი
3. საქართველოს მედიამონიტორინგის ცენტრი
4. საერთაშორისო ორგანიზაციის „მერსი ქორფს“ - ის წარმომადგენლობა საქართველოში
5. დიდი ბრიტანეთის საქველმოქმედო ორგანიზაცია ასოციაცია „OXFAM“ – ის საქართველოს წარმომადგენლობა
6. სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
7. სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი
8. სოფლად თემთა განვითარების სააგენტო

დადებითად გადაწყდა ასევე საქართველოს რეფორმების ასოციაციის ასოცირებული წევრობის საკითხი.

მესამე ჯგუფის თანაკოორდინატორმა დამსწრეებს აცნობა, რომ ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, მომზადდა წერილი დარგობრივი კომიტეტებისა (ევროინტეგრაციის, დარგობრივი ეკონომიკის, საგარეო) და შესაბამისი მინისტრებისთვის საქართველოს ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების შეფერხებასთან დაკავშირებით. მესამე სამუშაო ჯგუფთან ერთად წერილს ხელს მოაწერს ასევე პლატფორმის თავმჯდომარე. წერილს თანდართული აქვს „მსოფლიო გამოცდილება საქართველო“-ს მიერ მომზადებული დოკუმენტი ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში საქართველოს გაწევრიანების პროცესის შესახებ. ჯგუფის თანაკოორდინატორის თქმით, მნიშვნელოვანია მკაფიოდ განისაზღვროს ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების ვადა, რადგან პროცესის შეფერხება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

დამსწრეებმა იმსჯელეს ქვეჯგუფების შექმნის საკითხზე. საქართველოს რეგიონულ მათწყებელთა ასოციაციის წარმომადგენლის თქმით, მედიაში დაგროვდა სერიოზული პრობლემები და მნიშვნელოვანია პლატფორმის ფარგლებში შეიქმნას მედიის ქვეჯგუფი, რომლის მთავარი მიზანი იქნება მონიტორინგის განხორციელება. ქვეჯგუფში გაწევრიანების სურვილი გამოთქვეს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ. გადაწყდა, რომ მედიის ქვეჯგუფის შექმნის შესახებ ინიციატივა გავრცელდება პლატფორმაში.

საბჭოს წევრებმა განიხილეს ასევე ფონდი „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“ ინიციატივა მეორე ჯგუფის ფარგლებში ტრანსპორტის ქვეჯგუფის შექმნის შესახებ. დამსწრეები შეთანხმდნენ, რომ საკოორდინაციო საბჭოს შემდეგ შეხვედრაზე მოიწვევენ ფონდის წარმომადგენელს და მოისმენენ მის წინადადებას ქვეჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით.

მეორე ჯგუფის კოორდინატორმა, ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის წარმომადგენელმა დამსწრეებს წარუდგინა თავისი ხედვა ასოცირების ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით ეროვნული პლატფორმის მოქმედების თაობაზე. მან აღნიშნა, რომ ამ ეტაპისთვის საბჭომ უნდა იხელმძღვანელოს

დროებით მიდგომით და შეიმუშაოს გრძელვადიანი მიდგომა პლატფორმისთვის წარსადგენად.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის შექმნის შესახებ. რადგან საკითხი მოითხოვს მყისიერ რეაგირებას, საბჭოს წევრები შეთანხმდნენ შემდეგ სტრუქტურაზე: პლატფორმა საქართველოს ეროვნული პლატფორმის მხრიდან წარმოდგენილი იქნება 15 კაციანი შემადგენლობით: პლატფორმის თავმჯდომარე, ჯგუფების კოორდინატორები, ეროვნული კოორდინატორი, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება, დამსაქმებელთა ასოციაცია და შესაბამისი ექსპერტიზის მქონე პლატფორმის რამდენიმე წევრი ორგანიზაცია. ეროვნული კოორდინატორი ამ სქემაში იქნება ნოემბრის თვემდე, რადგან შემდეგ მას უფლებამოსილების ვადა ეწურება.

მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე აღნიშნული საკითხი განიხილება საერთო კრებაზე და პლატფორმის წევრებს მიეცემათ რეკომენდაცია, გარდამავალ პერიოდში (3 თვის განმავლობაში) სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმამ მუშაობა გააგრძელოს ზემოთ აღნიშნული ფორმატით.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ნატალია აბრამია